საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/175

ქ. ბათუმი 19.09. 2017 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 სექტემბრის №118 დადგენილების, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული მოდულური პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს 2015 წლის 29 ივლისის №86 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის გამოცხადდეს მიღება ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დანართი 1-ის შესაბამისად.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა რეგისტრაცია (პირადობის მოწმობის საფუძველზე) განხორციელდეს 2017 წლის 2 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქალაქი ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N32/35, მე-3 კორპუსში (ყოფილი საერთო საცხოვრებლის შენობა), მეოთხე სართულზე, ოთახი N 404).
3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა რეგისტრაცია ასევე შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონულად შემდეგ მისამართზე - vet.emis.ge, 2017 წლის 2 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით.
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა პრეტესტი (იმიტირებული გამოცდა) ჩატარდეს 2017 წლის 28 ოქტომბერს (პრეტესტის ჩატარების ადგილი მითითებული იქნება რეგისტრაციის შედეგად აღებულ საგამოცდო ბარათში).
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა ტესტირება (გამოცდა) ჩატარდეს 2017 წლის 29 ოქტომბერს (ტესტირების ჩატარების

ადგილი მითითებული იქნება რეგისტრაციის შედეგად აღებულ საგამოცდო ბარათში).

6. აპლიკანტთა ტესტირების შედეგები გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე 2017 წლის 14 ნოემბერს.

7. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტებმა 2017 წლის 15 ნოემბრიდან 21 ნოემბრის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა), ხელშეკრულების გაფორმებისა და მათი პირადი საქმის გახსნის მიზნით ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დანართი 1-ში მითითებული N2, N5, N7, N10, N13-15 ნომრით განსაზღვრული პროგრამებისათვის), ხოლო საბაზო განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დანართი 1-ში მითითებული N1, N3, N4, N6, N8-9, N11-12 ნომრით განსაზღვრული პროგრამებისათვის);

დ) ორი ფოტო 3X4-ზე (ასევე CD დისკზე);

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის).

8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2017 წლის 22 ნოემბერს, ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების საფუძველზე.

9. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (დანართი 1) სასწავლო პროცესი დაიწყოს 2017 წლის 27 ნოემბერს.

10. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

11. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება

12. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების შესაბამისი განცხადების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება.

13. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და ფაკულტეტებს.

14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი 1.

	ფაკულტეტი	საგანმანათლებლო პროგრამა	კრედიტების რაოდენობა		სასწავლო თვეების რაოდენობა		ადგილების რაოდენობა	მათ შ ადგილ რაოდ სპეციალ საჭირო მქო პირთა
			ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის		
1	ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი (III საფეხური)	45	45	6	6	40	4
2	ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა	ვებ-პროგრამისტი (V საფეხური) - მოდულური	120	150	20	24	20	2
3	ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა	ვებ-ინტერფეისის დიზაინერი (III საფეხური) - მოდულური	60	75	10	12	20	2
4	ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა	ვებ-ინტერფეისის დეველოპერი (III საფეხური) - მოდულური	61	76	10	12	20	2
5	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	ბიბლიოთეკარი (IV საფეხური) - მოდულური	91	124	16	18	20	2
6	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	კორესპონდენტი (III საფეხური)	45	45	6	6	40	4
7	ტექნოლოგიური	არქიტექტორ-ტექნიკოსი (IV საფეხური) - მოდულური	84	114	14	16	14	2

8	ტექნოლოგიური	მეფუტკრე (III საფეხური) - მოდულური	76	91	12	14	15	2
9	ტექნოლოგიური	ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი (III საფეხური) - მოდულური	64	79	11	13	30	3
10	ტექნოლოგიური	მშენებლობის მწარმოებელი (IV საფეხური)	60	60	10	10	30	3
11	ტურიზმი	სარესტორნო საქმისმწარმოებელი (III საფეხური)	45	45	6	6	80	8
12	ეკონომიკისა და ბიზნესის	ბუღალტერ-ტექნიკოსი (III საფეხური) - მოდულური	62	77	11	13	20	2
13	განათლება	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (V საფეხური)- მოდულური	111	141	16	21	20	2
14	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის	პრაქტიკოსი ექთანი (V საფეხური) - მოდულური	134	164	22	27	20	2
15	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის	ფარმაცევტის თანაშემწე (IV საფეხური) - მოდულური	92	122	16	18	25	3
		სულ:					414	43